ხელოვნური მონოპოლიები და კონკურენციის პრობლემები საქართველოში

*ა.წ. 14 ნოემბერს სახალხო დამცველის ოფისში ჟურნალ **„ბიზნესი და კანონმდებლობის“** ინიციატივით (თანაორგანიზატორი: **საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილი“**) ჩატარდა მრგვალი მაგიდა თემაზე: **„ხელოვნური მონოპოლიები და კონკურენციის პრობლემები საქართველოში“.***

მრგვალ მაგიდაში მონაწილეობდნენ მეცნიერ-ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციების, მასმედიისა და ბიზნეს-სტრუქტურების წარმომადგენლები.

*მრგვალ მაგიდას უძღვებოდა ჟურნალ **„ბიზნესი და კანონმდებლობის“** რედაქტორთა საბჭოს თავმჯდომარე **ზაურ ნაჭყებია.***

ზაურ ნაჭყებია: – ჟურნალი **„ბიზნესი და კანონმდებლობა“** აგრძელებს ტრადიციას და სადისკუსიოდ გამოაქვს ისეთი პრობლემები, რომელიც ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. დღევანდელი სადისკუსიო თემა გახლავთ **„ხელოვნური მონოპოლიები და კონკურენციის პრობლემები საქართველოში“**.

ისმება კითხვა: **რამ განაპირობა აღნიშნული თემით დაინტერესება?**

მოგეხსენებათ, ეკონომიკის მართვის ცენტრალიზებული სისტემა, რომლის დროსაც მესაკუთრე იყო მხოლოდ სახელმწიფო, თამაშის წესებსაც იგი ადგენდა და შესაბამისად ფასებიც მონოპოლიზებული იყო. მართვის ცენტრალიზებული სისტემის რღვევამ და საბაზრო ეკონომიკის პრინციპზე გადასვლამ ბუნებრივად გამოიწვია სახელმწიფოს როლის შეცვლა ეკონომიკის მართვაში და დღის წესრიგში დააყენა ბიზნეს-სუბიექტებს შორის ჯანსაღი კონკურენციის აუცილებლობა. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, სახელმწიფოს გაქცევას ეკონომიკიდან – პირიქით, ჯანსაღი კონკურენციის მიღწევა სახელმწიფოს მტკიცე ნებისა და სათანადო კანონმდებლობის უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ფორმულა: **„ბაზარი არეგულირებს ყველაფერს“** ფიქციაა. ეს კიდევ ერთხელ ნათლად ჩანს მსოფლიო საფინანსო კრიზისის ფონზე, რომელიც თანდათან ღრმა ეკონომიკური კრიზისის სახეს იძენს.

ანალიზი ცხადყოფს, რომ ეკონომიკის დაბალანსებული განვითარება მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში სახელმწიფოს ანტიმონოპოლიური პოლიტიკა პასუხობს განვითარების ტენდენციებს და თავისებურებებს.

ბაზარი ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს წონასწორობას, თუ სახელმწიფოს სამართლებრივი ბაზა ხელს არ უწყობს ჯანსაღი კონკურენციის გარემოს შენარჩუნებას.

რა ხდება ჩვენს შემთხვევაში? სახელმწიფო თვითონ აფერხებს ეკონომიკის განვითარებას – **იგი მუხრუჭის და ხელოვნური მონოპოლიების სტიმულატორის როლში გამოდის.**

ე.წ. ქართული ეკონომიკის „მამების“ დაჟინებული მოთხოვნით გაუქმდა ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც ფორმალურად მაინც არეგულირებდა ურთიერთობას ბიზნეს-სუბიექტებს შორის. შესაბამისად, გაუქმდა საქართველოს კანონი **„ანტიმონოპოლიური საქმიანობის შესახებ“.** შედეგად მივიღეთ ის, რომ ეკონომიკის ბევრ სფეროში შეიჭრა ხელოვნური მონოპოლიები, რომელიც არა მარტო ხელს უშლის

ეკონომიკის განვითარებას და ბიზნეს-სუბიექტებს შორის ჯანსაღი კონკურენციის არსებობას, არამედ, პირდაპირ გავლენას ახდენს მომხმარებლის ჯიბეზე. ეს განსაკუთრებით მტკივნეულია დღეს, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში. არადა, სახელმწიფო, რომელსაც პრეტენზია აქვს განავითაროს საბაზრო ეკონომიკა და დაამკვიდროს მართვის დემოკრატიული პრინციპები, ვალდებულია ხელი შეუწყოს ხელოვნური მონოპოლიებისგან თავისუფალი ჯანსაღი კონკურენციის არსებობას.

ცალკე საუბრის თემაა ბიზნეს-ეთიკის დეფიციტი საქართველოში, რომელიც არანაირი მორალისა და პასუხისმგებლობის ჩარჩოში არ ჯდება.

რამდენადაც ვიცით, მათი დაზავება სახელმწიფო სტრუქტურების აქტიური ჩარევით მოხდა, თუმცა, მიმაჩნია რომ, კონკურენციის პრობლემებს კანონი უნდა არეგულირებდეს.

ანალოგიური მაგალითის მოტანა შეიძლება ტელეკომპანია „მაესტროს“ შემთხვევაშიც, რომელმაც ლიცენზია არა სასამართლოს გადაწყვეტილებით, არამედ მხოლოდ პარლამენტის ჩარევის შემდეგ მიიღო.

ერთი სიტყვით, პრობლემა მეტად მტკივნეული და აქტუალურია.

ნება მიბოძეთ გავხსნა დისკუსია და სიტყვა გადავცე ანტიმონოპოლიური სამსახურის უკანასკნელ მოჰიკანს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, ჟურნალ **„საქართველოს ეკონომიკის“** მთავარ რედაქტორს ბ-ნ **ემზარ ჯგერენაიას**, რომელიც ისაუბრებს მონოპოლიური სტრუქტურების ანატომიაზე და იმ საფრთხეებზე, რასაც ხელოვნური მონოპოლიები უქმნის საზოგადოებას.

ᲔᲛᲖᲐᲠ ᲯᲒᲔᲠᲔᲜᲐᲘᲐ: დღევანდელი ჩვენი დისკუსიის თემა აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, მთელ მსოფლიოში. მრავალი თქვენთაგანი გაეცნობოდა ბატონ ჯორჯ სოროსის მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის რვაპუნქტიან გეგმას. ჩვენ შეიძლება ვიღაც მოგვწონდეს, ან არ მოგვწონდეს, მაგრამ მისი ეს გეგმა ძალიან მნიშვნელოვანი იყო: მასში აქცენტი რეგულაციების გაზრდაზე იყო გაკეთებული.

რეგულაციის თემას აქტუალობის ნაკლებობა არასოდეს განუცდია, უბრალოდ, მიმართულებები და შეხედულებები იყო განსხვავებული. სწორად მოვიქცევით, თუ ამ საკითხს საქართველოში ორ ნაწილად გავმიჯნავთ. **პირველი:** არსებობს თუ არა საქართველოში ანტიმონოპოლური სამსახური, როგორც ასეთი? საქართველოს ეკონომიკის 70 პროცენტი რეგულირებადია. ძალიან ხშირად გვესმის, რომ ანტიმონოპოლური კანონმდებლობა არ არსებობს. მე კი გეტყვით, რომ არსებობს! დიახ, არსებობს მარეგულირებელ ორგანოებში. მხედველობაში მაქვს საბანკო ზედამხედველობა, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია... მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ყველა ამ ორგანოს კანონში ჩადებულია მუხლი ანტიმონოპოლური კანონმდებლობის ნაწილში. აქ კანონმდებლობის დეფიციტზე კი არ არის საუბარი, არამედ არშესრულებაზე, არაკომპეტენტურობაზე და პოლიტიკური ნების არარსებობაზე. აშშ-ის სენატის სპეციალური კომისიიდან პირდაპირ რეპორტაჟს რომ ვუსმენდი, გამახსენდა რამდენიმე წლის წინ ბატონ ნოდარ ჭითანავას გამოსვლა და მისი შეხედულებები რეგულირებასთან დაკავშირებით, რომელსაც ჩვენ მაშინ "შტიკებით" შევხვდით. იმიტომ, რომ ყოველთვის ვამბობდით და დღესაც ვამბობთ, რომ თავისუფალ ბაზარს აქვს თავისი პლიუსები და მოტივაციის ნაწილში ის **უძლეველია**. მაგრამ აღმოჩნდა, რომ რეგულაცია აუცილებელი და მნიშვნელოვანია. ჩვენ თუ ახლა არ ვაღიარეთ, რომ კანონი და რეგულაცია ინსტიტუციონალურად არაფერს ნიშნავს, თუ ისინი არ აღსრულდება, შორს ვერ წავალთ.

ანტიმონოპოლური კანონმდებლობისა და ქმედებების პირველი პრინციპია გამჭვირვალობა, რომელიც ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას კანონში უწერია. დღემდე ვერავინ ვერ მოიძია ან ელექტროენერგიის, ან გაზის გამჭვირვალე კალკულაციის დოკუმენტი. თუ ეს ვინმეს აქვს, შეგვეხმიანოს, მოგვაწოდოს, სიამოვნებით მოვუსმენთ, რის მიხედვით არის განსაზღვრული მათზე გადასახადი? ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია. გარდა ამისა, დღემდე ვერავინ გასცა პასუხი იმ მოქალაქეებს, რომლებიც ჩივიან, დენის საფასურის გადახდისას ბანკის საკომისიოს რატომ გვაკლებთო... მათ იქედნური ტონით პასუხობენ: ბანკი ფილანტროპი არ არის, მას კომისია სჭირდება. კი, მაგრამ პურს რომ ყიდულობთ, იმედია, პურის ღირებულებაზე მეტს არ იხდით.... გამოდის, რომ ამ შემთხვევაში ალტერნატივა წავართვით მოქალაქეს, რომელსაც შეუძლია კომფორტულად გადაიხადოს ეს გადასახადი სახლიდან. რა თქმა უნდა, ბანკი ამ მომსახურებაში მას საკომისიოს დაუკავებს, მაგრამ, იმავდროულად, ის ენერგოკომპანია, რომელიც დენს გვაწვდის და ფულსაც იღებს, განა ვალდებული არ არის, თუნდაც რაიონში ერთი ადგილი გახსნას, სადაც კომისიის გარეშე შეგვეძლება გადახდა. სწორედ ამას

ემსახურება მარეგულირებელი. მინდა პირდაპირ გავმიჯნო: კანონმდებლობა რეგულირების ნაწილში არსებობს, მაგრამ ის ხშირ შემთხვევაში არ სრულდება. ამ დილემის მეორე ნაწილი ე.წ. ჩვეულებრივი ბიზნესია. მოდით, ასე დავარქვათ იმ საქმიანობას, რომლის რეგულირება არ ხდება. ამ ნაწილში ორი განსხვავებული მიდგომა არსებობს: რა ვალდებულებები გვაქვს აღებული ჩვენი ევროპელი პარტნიორების წინაშე და რას ვერ ვასრულებთ ე.წ. **„ექშნ პლანის"** მიხედვით. პირველი მიმართულება, როგორც კლასიკურად მოიაზრება ანტიმონოპოლურ კანონმდებლობაში არის ტრასტული შერწყმები და

შეთანხმებები, კარტერული ფასთა შეთანხმებები... მეორე, ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილი კი უშუალოდ კვების პროდუქტების მონიტორინგს, უსაფრთხოებას და ხარისხს ეხება. ჩვენ ეს კანონი გვაქვს, მის მიღებაზე საკმარისი თანხაც დაიხარჯა. სურსათის უვნებლობისა და ხარისხის კანონისა და HASP-ის სისტემის დანერგვის გარეშე ჩვენ ევროპაში კარი, უბრალოდ, დაკეტილი გვაქვს. ჩვენ ვმუშაობთ "ჯე-ეს-პე პლუსის" მიხედვით, ვმუშაობთ იმ ხელშეკრულების მუხლებზე, რომელსაც ჰქვია თავისუფალი ვაჭრობა ევროპასთან, ჩვენს ბიზნესმენებს ვეუბნებით, რომ სატარიფო ბარიერი ევროპასთან იხსნება... ეს კარგია, მაგრამ არ ვეუბნებით იმის შესახებ, რომ უფრო მძლავრია არასატარიფო ბარიერი, რომელსაც ევროპა ცოცხალი თავით არ მოხსნის. ევროპელი მომხმარებლის ინტერესები მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ქართველ ექსპორტიორს კი ამ არასატარიფო ბარიერის გადალახვა უჭირს. ამ შემთხვევაში, ჩვენს მიერ კანონის ამოქმედების გადადება სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო, სწორედ ექსპორტის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია.

რა გზა გაიარა დღევანდელმა კანონმა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ? ეს კანონი მიმართულია **მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების და რეგულირებადი დარგის კონტროლისათვის.** დღეს არსებობს სააგენტო, რომელიც ასრულებს ერთადერთ ფუნქციას: სახელმწიფო ორგანოების კონტროლს კანონის მიხედვით. ამ შვიდკაციან ორგანოს ევალება მერიის მიერ არასწორად ჩატარებული ტენდერის კონტროლი და გამომზეურება, ნებისმიერი არასწორი, მათ შორის, საკუთრების მიმართ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება (მაგალითად, წყლის ფასზე მიღებული გადაწყვეტილების შეჩერება). მას ევალება სახელმწიფოს ნებისმიერი მმართველობითი ორგანოს მიერ მიღებული კანონისა და ბრძანების გაჩერება, რომელიც ზღუდავს ბიზნესს და მის ბაზარზე შესვლას აფერხებს. 2002 წელს ანტიმონოპოლურ სამსახურს მარეგულირებელი ორგანოების მიმართ დაქვემდებარებულ დარგებში კონტროლის განხორციელების უფლება წაერთვა. მაგრამ ახალი კანონით დაუბრუნდა მეორადი კონტროლის უფლება. იქვე ჩაიწერა, რომ ყოველ წელიწადში ერთხელ სააგენტომ აუცილებლად უნდა შეისწავლოს ამ მარეგულირებელ დარგებში არსებული სიტუაცია და მთავრობის სხდომაზე მოხსენება წარადგინოს. მსგავსი რამ საქართველოში ჯერ არ გაკეთებულა.

რა არ გააჩნია ამ კანონს? ის აბსოლუტურად მოკლებულია კლასიკური ანტიმონოპოლური კანონის არსსა და სტრუქტურას. ამოღებულია ორი ძირითადი მუხლი: შერწყმები და კონცენტრაციები და კარტერული შეთანხმებები. ანუ, ის არ მუშაობს ბიზნესზე, მომხმარებელთა ინტერესების დაცვაზე.

ვერც ერთი სერიოზული ადამიანი ვერ აიღებს თავის თავზე, რომ საქართველოში მოქმედ რომელიმე ფირმას მონოპოლისტი უწოდოს, თუგინდ, მთელი ბაზარი, ნებისმიერი ქართველი გრძნობდეს მათი მონოპოლური ქმედების სუსხს. რატომ? – ჩვენ არ გვაქვს ელემენტარული მონიტორინგი. გაკონტროლება, უპირველესად, მისი კონტროლის მექანიზმის გამჭვირვალობით უნდა დაიწყოს. ჯერ უნდა გამოვაქვეყნოთ, რა მეთოდოლოგიით ვაკონტროლებთ, მერე კი მონიტორინგის შედეგები უნდა გახდეს ცნობილი, ასე დადგინდება, თუ ვინ არის მონოპოლისტი.

ის ფაქტი, რომ ვიღაც მონოპოლისტია, არ არის ცუდი: მონოპოლისტი გვჭირდება კიდეც თუ დარგი კაპიტალტევადია და სერიოზული ინვესტიციები სჭირდება. მაგრამ ყველაზე მთავარია, **ხომ არ იყენებს იგი ბოროტად თავის მონოპოლურ მდგომარეობას**? ამას სერიოზული აუდიტი და კვლევა სჭირდება, რასაც ჩვენ მოკლებული ვართ.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ საკითხზე საქართველოში დღემდე სერიოზულად არავის უმსჯელია. 1992 წელს მივიღეთ პირველი ანტიმონოპოლური კანონი საქართველოში. იცით, ეს რა დროც იყო... კანონმდებლობა გადმოწერილი იყო რუსული ვარიანტიდან, ხოლო თავად რუსული – უნგრულ-გერმანულიდან. თუმცა, ამ კანონს თითქმის არ უმუშავია... 1996 წელს კი, როცა ლარი შემოვიდა, ეკონომიკაში სიტუაცია შეიცვალა, დაიწყო რეფორმები სავალუტო ფონდის მხრიდან, ფისკალური საკითხებიც მოგვარდა, წარმოების ზრდა გარკვეულ ჩარჩოებში მოექცა, მიღებული იქნა ახალი კანონი ანტიმონოპოლური საქმიანობის შესახებ, რომელიც 2005 წლამდე მოქმედებდა. ამ კანონების მიხედვით, მიღებულ იქნა მთელი რიგი ქვენორმატიული აქტები, რომლებიც, საბოლოო ჯამ-

ში, ეკონომიკის განვითარებას აფერხებდნენ და, აქედან გამომდინარე, მოსაშორებელი იყო. მაგრამ ამას სერიოზული რევიზია სჭირდებოდა.

ყველაზე მეტი დავის საგანი იყო ორი რამ: მსოფლიოში მთელი ბიზნესის განვითარების გასაღები არის ანტიმონოპოლური საქმიანობის ორი დიდი მოდელი. ერთია ამერიკული, მსუბუქი და უფრო პრევენციაზე მიმართული. აშშ-ში ამ საქმიანობას სამი დიდი ორგანო აკონტროლებს, მათ შორის, უწყებათაშორისი კომისია. მისი ანალოგი საქართველოშიც იყო, ოღონდ არ მუშაობდა. ამ ორგანოების მუშაობა მიმართულია იქითკენ, რომ არ დაიჩაგროს მომხმარებელთა ინტერესები, მეწარმეებს კი მიეცეთ თავისუფალი ბიზნესის კეთების საშუალება. მეორე მხრივ, თვითონ მეწარმეებს შორის თამაშის წესები უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და შეესაბამებოდეს ბაზრის მოთხოვნებს. ამერიკული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ისეთ სერიოზულ სანქციებს, როგორსაც ევროპული და არც ნების დამრთველი ფუნქცია გააჩნია.

ევროპული მოდელი ძალიან მკაცრია, მას აქვს ნებადამრთველი ფუნქცია (ევროკომისიის რეზოლუციის გარეშე საკითხი არ გადაწყდება). გარდა ამისა, ამ მოდელს სასამართლოს ფუნქციაც აკისრია და ამა თუ იმ დამრღვევის დაჯარიმების ფუნქციაც. საგულისხმოა, რომ დარღვევის თანხა ჩვენს კანონმდებლობაში ფიქსირებული არ იყო, რაც მის ერთ-ერთ ხარვეზს წარმოადგენდა. რადგან ხშირად მნიშვნელოვან დარღვევაზე უმნიშვნელო სანქციები ტარდებოდა. ახლაც ხშირად გვესმის, რაც იყო, მართლაც კარგი იყოო! – არა, არ ვარგოდა! მათ შორის, რეკლამის კანონი იყო აბსოლუტურად დიქტატორული და ნებართვის შემცველი, ამიტომაც არ უწყობდა ხელს ბიზნესის განვითარებას.

ჩვენ ხშირად გავიგონებთ, რომ ამა თუ იმ პროდუქციას აქვს ISO-ს სერთიფიკატი. ეს არის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა და ისევე დასჯადია, როგორც მოტყუება და გაზვიადებული რეკლამა. თქვენ შეიძლება გქონდეთ ISO-ს სეთიფიკატი, მაგრამ, გააჩნია რაში მიიღეთ – წყალს ეკუთვნის იგი, თუ მენეჯმენტის ეფექტურად წარმართვის გამო მოგანიჭეს? ISO-ს სერთიფიკატს უამრავი ტექნიკური სექტორი აქვს, სადაც შეგიძლიათ ეს სერთიფიკატი მიიღოთ, მაგრამ მომხმარებელს სულ სხვა რამ აინტერესებს. ევროპაში ამ საკითხს სახელმწიფო აკონტროლებს. ჩვენში ამ კუთხით ყველაზე დიდი გამოცდილება აქვს „ბორჯომს". მეოთხე წელია, რაც კომპანია ევროპის შესაბამის ორგანიზაციებთან მუშაობს და ხვეწს თავის პროდუქციას, ასუფთავებს, სხვადასხვა ქიმიური მინარევებისაგან, რათა ევროპულ ბაზარზე შევიდეს და აღწევს კიდეც სერიოზულ წარმატებებს. აშშ-ში ამ მხრივ თავისუფლებაა, იქ თვითონ მომხმარებელთა არასამთავრობო ორგანიზაციები ჩივიან ფირმის წინააღმდეგ. ჩვენ ამერიკული კუთხით წავედით, რაც საქართველოსთვის განვითარების ამ ეტაპზე გაუმართლებელია. ამგვარ მიდგომას ხშირად აბსურდამდე მივყავართ, რადგან სასამართლოები ხშირად 15-20 წელს გრძელდება, ზოგჯერ კი არც მთავრდება...

აუცილებელია "ექშენ პლანის" ევროპასთან სამეზობლო ხელშეკრულების მოთხოვნების შესრულება და ევროპის მოდელის შექმნა, რაც საკმაოდ რთულია. ეკონომისტებმა უნდა განვმარტოთ, რაშია დღეს საქართველოში მოქმედი კანონის მინუსი... ამ კანონიდან საკმაოდ ბევრი დეფინიციაა ამოღებული. საერთოდ, რა არის ბაზარი? მაგალითისთვის ავიღოთ ცემენტის ბაზარი: რა შეიძლება ჩაითვალოს კონკურენციად ამ შემთხვევაში? არის თუ არა მონოპოლისტი "ჰაიდელბერგ ცემენტი"? მსოფლიოში სამი ფირმა, მათ შორის, "ჰაიდელბერგ ცემენტი" განაგებენ ცემენტის ბაზრის 78-80 პროცენტს. არიან თუ არა ისინი მონოპოლისტები? არიან, მაგრამ არაფერს ეუბნებიან, რადგან დამტკიცებული არ არის, რომ ცუდად იყენებდნენ თავიანთ მონოპოლურ მდგომარეობას. ჩვენ უნდა შევიმუშავოთ მეთოდოლოგიური ზღვარი პრევენციას, დამნაშავესა და დასჯას შორის, ბაზრის ხელშეწყობასა და ხელისშეშლას შორის. ახალი კონცეფციის მიზანი მე ასე წარმომიდგენია: ჩვენ მკაფიოდ უნდა განვსაზღვროთ, როგორი რეგულაცია მოუტანს ბაზარს სიკეთეს და როგორი – არა.

აუცილებლად მოსაგვარებელია სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის საკითხები. ეს ურთულესი თემაა, რომელიც ჩვენ დაძრულიც კი არ გვაქვს. ამასთან, დღემდე აუღებელ ციხესიმაგრედ დგას არასატარიფო ბარიერი.

აქ ლაპარაკია ამერიკის სისტემის დონის შესაბამისი უწყებათაშორისი ორგანოს შექმნაზე, რომლის გადაწყვეტილებასაც საკმაოდ სერიოზული მაკონტროლებელი ფუნქცია ექნება. მას უნდა დაევალოს როგორც მარეგულირებელი, ისე არარეგულირებადი დარგების შესახებ ყველა ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა. განსაკუთრებით ეს ეხება ინფრასტრუქტურულ საწარმოებს, შესყიდვებსა და რეზიდენტების საქმიანობას, ტრანსპორტის ნაწილს, სადაც ჩვენ ბევრი სერიოზული ჩავარდნა გვაქვს. ამ მიზნის მისაღწევად, ჩემი აზრით, აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილება. ჩვენ უნდა შევქმნათ ანტიმონოპოლური საქმიანობის ერთიანი საკანონმდებლო ბაზა როგორც რეგულირებადი, ასევე არარეგულირებადი დარგებისთვის. უნდა განვახორციელოთ ინსტიტუციონალური რეფორმა. ინსტიტუტი უნდა იყოს აბსოლუტურად დამოუკიდებელი და შორს იდგეს აღმასრულებელი ხელისუფლებისგან. მნიშვნელოვანია, რომ ყველა მარეგულირებელ ორგანოს ჰყავდეს ერთიანი არხი, ერთიანი სისტემა და, ბუნებრივია, ჰქონდეს ერთიანი ქმედითი დამოუკიდებლობის ხარისხი, იმიტომ, რომ პოლიტიკური ნების გარეშე ნებისმიერი რეფორმა ისევ ნახევარრეფორმა იქნება...

ასევე გადაუდებელი თემაა ოპტიმალური საკადრო პოლიტიკა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ ნაწილში ევროპული მოდელი არ გამოგვადგება. ანტიმონოპოლური სამსახური არ უნდა იყოს პრინციპულად ნებართვის დამრთველი. ეს უნდა იყოს აუდიტი, წინააღმდეგ შემთხვევაში სერიოზული სკანდალები გველოდება. საკადრო პოლიტიკის გარეშე ვერც ერთი ინსტიტუციონალური მშენებლობა შედეგს ვერ მოგვიტანს (ბუნებრივია, საკადრო მშენებლობის დროს პარტიულობა არაფერს უნდა ნიშნავდეს). ამის შემდეგ უნდა ჩამოყალიბდეს დერეგულირებული თავისუფალი ანტიმონოპოლური სამსახური, რომელიც ერთიანად გააკონტროლებს როგორც რეგულირებად, ისე არარეგულირებად დარგებს, იქნება მეწარმეების ხელშემწყობი და მომხმარებლის ინტერესების დამცველი.

იაშა მესხია, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობის“ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: – პრობლემა, რომელიც დღეს არის დასმული, ძალიან აქტუალურია, ბატონმა ემზარმა ამასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდა. მე მინდა ცოტა სხვა კუთხით შევხედო ამ პრობლემას და უფრო გავამწვავო იგი. თავისუფალი კონკურენცია საბაზრო ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვანი და ფუნდამენტალური დებულებაა. ბაზარს თუ არ ექნება თავისუფლება და იგი შეიზღუდება, ეკონომიკა წინ ვერ წავა. თქმა იმისა, რომ დღეს საქართველოში არ არსებობს მონოპოლიები და ბაზარი თავისუფალია, ნამდვილად არ იქნებოდა მართალი. ამის მტკიცებას არც მეცნიერული კვლევა და რაიმე სპეციალური მეთოდოლოგია სჭირდება. ჩვეულებრივი მომხმარებელიც ძალიან კარგად ხედავს და გრძნობს, რომ მონოპოლიის ხარისხი ქვეყანაში ძალიან მაღალია. ეს უკანასკნელ პერიოდში მომხდარმა მოვლენებმაც დაგვანახა. ძნელად შესამჩნევი არ არის, რომ გარკვეული მონოპოლიური შეთანხმებების ნიშნები ჩანს ისეთი ფირმების მუშაობაში, როგორებიცაა: **„PSP“** და **„ავერსი“, „ყაზბეგი“** და **„ნატახტარი“,** საზოგადოებაში არსებობს მოსაზრება, რომ ეს ფირმები სხდებიან ერთად და საკუთარ პროდუქციაზე ერთნაირ ფასებს აწესებენ; ასევე ხდება კომპანიებში **„მაგთი“** და **„ჯეოსელი“,** რომლებიც თითქოსდა კონკურენტები არიან, მაგრამ ფაქტობრივად ისინიც საკუთარ მომსახურებაზე ფასებს ერთმანეთს უთანხმებენ.

მე მქონდა საშუალება, რომ ამ მიმართულებით გარკვეული გაანგარიშებები ჩამეტარებინა კავშირგაბმულობის სფეროში, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ამ ორი კომპანიის ფასები სხვა ქვეყნებთან შედარებით საგრძნობლად მაღალია, რაც, ცხადია, მონოპოლიის მაღალი ხარისხითაა განპირობებული. საზოგადოებას ფასების მონოპოლიურ შეთანხმებაზე სხვა კომპანიების მიმართაც აქვს ეჭვი – **„თოლია“, „იოლი“, „გურჯაანი“**, ეს სამი სხვადასხვა ფირმა ყველა ნაყინს ერთნაირ ფასს ადებს და ესეც ურთიერთშეთანხმებით ხდება. ავიღოთ საბანკო მონოპოლია. ზოგიერთმა შეიძლება გაიკვირვოს და თქვას, რომ საქართველოში არ არის საბანკო მონოპოლია. საქართველოში სულ 23 მოქმედი ბანკია. აქედან 16-ში არის უცხოური კაპიტალი, მაგრამ მთელი საბანკო ბაზრის დაახლოებით 80%-ს 3 თუ 4 ბანკი ფლობს, რომლებიც სისტემაწარმომქმნელი ბანკები არიან და ყველა დანარჩენი მათ დაკრულზე თამაშობს. აქაც გარკვეულ მონოპოლიასთან გვაქვს საქმე. გამომდინარე აქედან, მე შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ჩვენს ეკონომიკაში არ არის თითქმის არცერთი დარგი, სადაც მონოპოლიის მაღალი დონე არ იყოს დაფიქსირებული. ავიღოთ თუნდაც ნავთობის იმპორტის ბაზარი. მსოფლიოში ნავთობის

ფასი 150 დოლარიდან 55-56 დოლარამდე დაეცა. ეს პროცესი თითქმის ბოლო 20-25 დღე მიმდინარეობდა, მაგრამ ჩვენთან ბენზინის საცალო ფასმა მხოლოდ 20-30 თეთრით დაიწია. ქართული ბაზარი, როგორც კი ერთხელ აიწევს ფასები (აქაური კომპანიები ახერხებენ ეს ყველაფერი სათანადო შეფუთვით მიაწოდონ მოსახლეობას), კლებისკენ აღარ მიდის და ფაქტობრივად მუდმივ ნიშნულს ინარჩუნებს მომდევნო ზრდამდე.

რაც შეეხება ბუნებრივ მონოპოლიებს, ამ ტიპის მონოპოლიები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საქართველოში – იქნება ეს ენერგეტიკა თუ ტელეკომუნიკაციები. მართალია, ამ სფეროების ზედამხედველობა დამოუკიდებელ სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოებს დაევალათ, მაგრამ აქ არაკომპეტენტურობის, არაპროფესიონალიზმის, გარკვეულწილად კორუფციისა და სხვა ტიპის სამართალდარღვევათა გარკვეული ელემენტები სახეზეა. მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ სპეკულაციური ფასებია მთელ რიგ მომსახურებაზე – მაგალითად, არავინ ამოწმებს, გაზის ხარისხს, მის წნევას, თუ სხვა პარამეტრებს. ასევე არავინ ამოწმებს შიდა საქალაქო ტრანსპორტის მუშაობას (ესეც მონოპოლიური დარგია და სახელმწიფოს რეგულების სფეროშია), სარკინიგზო გადაზიდვებს და ა.შ.

მინდა ერთ გარემოებას მივაქციო თქვენი ყურადღება. ნუ ვიფიქრებთ რომ განვითარებული ქვეყნები და დემოკრატიის ე.წ. ციტადელები ეკონომიკური პატიოსნების უმაღლესი ხარისხით გამოირჩევიან. იქაც არის მსხვილი ფინანსური აფიორები და მთელი რიგი ფინანსური სამართალდარღვევების შემთხვევები. მსოფლიოში ამ ბოლო დროს წინ წამოიწია ერთმა მიმართულებამ – ეს არის ე.წ. **რეიდერიზმი,** რაც იმას ნიშნავს, რომ **მსხვილი კომპანიები პატარა კომპანიებს ყლაპავენ და ამით მონოპოლიის ხარისხს ზრდიან. არის საქართველოში რეიდერიზმი? — არის და ძალიან მაღალი ხარისხითაც, რადგან ის მსხვილი კომპანიები, რომლებმაც ხელისუფლების მხარდაჭერითა თუ სხვა ბიუროკრატიული მანქანებით ბაზარზე**

წამყვანი ადგილი დაიმკვიდრეს, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ რომელიმე ახალი კომპანიის ბაზარზე შემოსვლა შეაფერხონ.

1992 წელს მივიღეთ პირველი კანონი ანტიმონოპოლიური საქმიანობის შესახებ. ეს ის პერიოდი იყო, როცა ჩვენი ეკონომიკა არ იყო განვითარებული, ოღონდ, რაიმე შემოტანილიყო და იმპორტი გაკეთებულიყო, მნიშვნელობა არ ჰქონდა, ამას ერთი კომპანია გააკეთებდა თუ რამდენიმე ერთად აღებული, რადგან ქვეყანაში ყველაფრის დეფიციტი იყო (ეს, შესაძლებელია, იმ რეალობისთვის გარკვეულწილად მისაღები იყო). **მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ვარდების რევოლუცია მოხდა და ეკონომიკური ზრდის ტენდენცია გამოიკვეთა, იყო საჭირო გამართული ანტიმონოპოლიური პოლიტიკის წარმოება და ბაზრის თავისუფლების ხარისხის ზრდა. არადა, სწორედ მაშინ გააუქმეს ანტიმონოპოლიური სამსახური და შეიქმნა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო.** სხვათა შორის, ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმება და ამ სააგენტოს შექმნა ბატონი **ზურაბ ჟვანიას** სიცოცხლეში მოხდა. მიღებულ იქნა შესაბამისი კანონიც, რომელიც სრულად გამართულია, მაგრამ შემიძლია თამამად ვთქვა, რომ რაც ამ კანონშია ჩაწერილი, არასოდეს არაფერი არ შესრულებულა და არც სრულდება. სააგენტო ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ექვემდებარება და დღეს აბსოლუტურად უმოქმედოა. შეგახსენებთ, რა ევალება კანონით ამ სააგენტოს: **კონკურენციის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და მასზე კონტროლის განხორციელება** — რაც არ კეთდება; დემპინგური ფასების, დაუსაბუთებელი სუბსიდიებისა და შეღავათების მინიჭების დაუშვებლობა – რაც არ კეთდება (სახელმწიფო სუბსიდიებსაც გასცემს, რომლის ნახევარიც ჩვენ არ ვიცით, როგორ და ვისზე გაიცემა, შეღავათების მინიჭებაც ფარულად მიმდინარეობს). პრევენციული ღონისძიებების გატარება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით — არაფერი კეთდება; ტენდერებზე და კონკურსებზე ზედამხედველობა — არ კეთდება; აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ექსკლუზიური უფლებების სამართლიანად მინიჭებაზე მონიტორინგი — აქაც სრული უმოქმედობაა; **მე, როგორც ადამიანი, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი კონტროლის პალატას, ვაცხადებ, რომ ყველა ტენდერი და კონკურსი მონოპოლიზებულია ერთი და იმავე ჯგუფის მიერ, თითქმის ყველა ტენდერს ერთი და იგივე სუბიექტები იგებენ, რაც უბრალო შემთხვევითობა არ შეიძლება იყოს. ამ ყველაფრის უკან ძალიან დიდი კორუფცია და გარიგებები იმალება და ამ პროცესში სახელმწიფო ჩინოვნიკები არიან ჩართულნი.**

ერთი სიტყვით, ამ კანონს, რომელიც 2005 წელს იქნა მიღებული, უნდა გაეთავისუფლებინა ბიზნესი არაეფექტური და ზედმეტი რეგულირებისგან, დაეცვა იგი ეკონომიკური აგენტებისთვის დაუსაბუთებელი ექსკლუზიური უფლებების მინიჭებისგან და აღეკვეთა დისკრიმინაციული ქმედებები, განხორციელებული სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან. **მუშაობს თუ არა ეს კანონი და ახერხებს თუ არა აღნიშნული სააგენტო საკუთარი მოვალეობის შესრულებას, იქნებ მისი ფუნქციები შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა?! უწევს თუ არა აღნიშნული სააგენტო ზედამხედველობას ტენდერების ორგანიზებას, აკეთებს თუ არა შესყიდვების სამართლიანობის ანალიზს (იცით, რომ შესყიდვები ჩვენ ქვეყანაში კორუფციის უზარმაზარი წყაროა), დაბოლოს, არის თუ არა ეს სააგენტო დამოუკიდებელი?** მინდა გითხრათ, რომ ამ თემატიკასთან დაკავშირებით მე გავეცანი უცხოურ გამოცდილებას. მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში მსგავსი ორგანოები არიან დამოუკიდებელნი. ისინი არცერთ სამინისტროს არ ექვემდებარებიან. ჩვენთან კი ეს სააგენტო ეკონომიკის სამინისტროს ქუდდახურული 12 თუ 7-კაციანი სტრუქტურაა, რომელიც ამდენი პრობლემის მოგვარებას ნამდვილად ვერ მოახერხებს. ერთი რამ მინდა გითხრათ — **თუ პოლიტიკური ნება არ იქნა და თუ ეს მექანიზმიც ისევე მიუშვეს, როგორც ანტიმონოპოლიური სამსახური, არაფერი არ გამოვა.**

საბედნიეროდ, დღეს მიხვდნენ, რომ ძლიერი ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენა აუცილებელია. პარლამენტში ორი კვირის წინათ დაიწყო საუბარი ამის შესახებ და იმედია, ამ მიმართულებით მუშაობაც მიმდინარეობს. ეს არის სწორი პოლიტიკური ნება და თუ ყველაფერი გონივრულად და გააზრებულად გაკეთდა, ძალიან კარგი იქნება. მაგრამ, თუ ეს ახალი სტრუქტურაც ისევ ერთ რომელიმე უწყებას დაუქვემდებარეს და ისევე დააკნინეს, როგორც დღეს ზემოაღნიშნული სააგენტოა, პრობლემა პრობლემად დარჩება.

კიდევ ერთი — თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ ჩვენ პიარეკონომიკაზე ვართ გადასული — ეკონომიკა იზრდება სწრაფი ტემპებით, გავუსწარით მრავალ ქვეყანას და პირველ ადგილზე ვართ ზრდის ტემპებით მსოფლიოში (თქვენ იცით, ამ სტატისტიკის დამფიქსირებელი უცხოური სააგენტოები კომერციული ორგანიზაციებია, რომლებიც, თუ საკმაო რაოდენობის ფულს გადაუხდი, მე-100 ადგილიდან მე-4-მე-5 ადგილზე გადაგსვამენ. ასე მოხვდა საქართველო ბიზნესის თავისუფლების ხარისხით 135-ე ადგილიდან ჯერ 78, შემდეგ კი 38-ზე. ერთხელ პირველ ხუთეულშიც კი აღმოვჩნდით). წარმოიდგინეთ, ხალხნო, რა სააგენტოებია ეს საერთაშორისო სააგენტოები, რომლებიც ასეთ ინფორმაციას აწვდიან საზოგადოებას და შეცდომაში შეჰყავთ არათუ ჩვენი ხელისუფლება, არამედ მთელი მსოფლიო, საიდანაც ინვესტიციები უნდა მოვიძიოთ.

რა ხდება — ჩვენ ბიზნესის თავისუფლების ხარისხით, თურმე, მონინავე ქვეყანა ვართ, მაგრამ კორუფციის მხრივ 79-ე ადგილზე ვყოფილვართ. სად არის აქ ლოგიკა? ეს პრობლემა მარტო ქართული არ გახლავთ, ეს საერთაშორისო პრობლემაა. თქვენ იცით, რომ ევროპელებმა ერთი განგაში ატეხეს, თუ რატომ არ გააკეთეს წინასწარი პროგნოზი ამ საგენტოებმა ამერიკაში დაწყებული კრიზისის გამო და არ გააფრთხილეს მსოფლიო. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მათი პროგნოზები მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებთან მიმართებაში ყალბია.

სხვათა შორის, ამ დღეებში ერთ-ერთმა კომპეტენტურმა სააგენტომ „Fitch Ratings“ გააკეთა პროგნოზი, რომ ამერიკის, ევროპისა და იაპონიის ეკონომიკები ნელ-ნელა უკუსვლას დაიწყებენ, წინ კი ისეთი ქვეყნები წამოიწევს, როგორებიცაა: **ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი და ჩი-**

ნეთი. ამის გამო უკვე ამერიკელებმა დაადანაშაულეს ეს ორგანიზაცია არასწორი ინფორმაციის გავრცელებაში. გამომდინარე ზემოთქმულიდან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: **ჩვენ თავად უნდა დავადგინოთ, რა დონეზე ვართ და საით მივდივართ. უცხოელების მიერ მთელ მსოფლიოში გავრცელებული იმ ტყუილი ინფორმაციით, რომელსაც ჩვენვე ვაწვდით მათ, ეკონომიკას ვერ ავაშენებთ**.

გელა ხანიშვილი, გაერთიანებული ტელეკომი: – ქვეყანაში ბუნებრივი მონოპოლია არსებობს (თუ ამას ბუნებრივს დავარქმევთ), რომელიც წარსულმა გადმოგვცა. კავშირგაბმულობის საშუალებები სწორედ ასეთად შეიძლება განვიხილოთ. თუმცა, არსებობს მონოპოლიები, რომლებიც დღეს შეიქმნა, მაგალითად, „მაგთი“ და „ჯეოსელი,“ დღეს ისინი ამ სფეროში მონოპოლისტები არიან. არც „კავკასუს ონლაინი” მოსულა წარსულიდან, მაგრამ ამ წლის დასაწყისისთვის ინტერნეტ-ბაზარზე მონოპოლისტი იყო. ქართული კომპანიების გარკვეული მონოპოლიური მდგომარეობა ბაზრის განვითარების კვალობაზე იცვლება, ხდება მერყეობა, ჩანაცვლება და ათასგვარი პროცესი ვითარდება.

დღეს საქართველოს ეკონომიკაში არის უამრავი მარეგულირებელი კანონი, კანონქვემდებარე აქტი, გადაწყვეტილება, რომლებიც, ფაქტობრივად, არ სრულდება და ამის გამო ჩვენთან არსებული ერთიანი საკანონმდებლო სივრცე განსხვავდება იმ რეალობისაგან, რითიც ქვეყანა ცხოვრობს. არა ერთი მაგალითი ნათლად მიუთითებს, რომ საქართველოში ეკონომიკა ჯერჯერობით ორიენტირებულია ფასების აწევაზე და ნებისმიერ ემოციურ მომენტს, ნებისმიერ საფუძველს ფასების გაზრდისათვის იყენებს, ამასთან რეალური კონკურენციის არარსებობის გამო, უკუსვლა, ანუ ფასების დაწევა ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ჩვენი კომპანიისა და **„კავკასუს ონლაინის“** დავის საკითხი ანტიმონოპოლური დავის თემა ნამდვილად არ არის. ეს წარსულიდან მომდინარე გარკვეული მომენტია, რომლის წინაშეც აღმოჩნდა მონათესავე სფეროებში მოღვაწე ორი კომპანია. წარსულიდან იმიტომ, რომ თვითონ გაერთიანებული საკომუნიკაციო კომპანია, რომელიც 2006 წლამდე წარმოადგენდა სახელმწიფოს, იყო გარკვეული დონაციის პირობებში, ანუ იყო სახელმწიფო სტრუქტურა და მის ბაზაზე აღმოცენებული ბევრი სტრუქტურა თავს ძალიან კარგად გრძნობდა. ყველამ კარგად ვიცით, რა დღეში იყო ელექტროკავშირი. მას არ ჰქონდა მექანიზმი, დაეთვალა ნებისმიერ პარტნიორ კომპანიასთან ურთიერთობის ღირებულება, მაშინ როცა მას ღირებულებას ყველა უთვლიდა. 2005 წლის დასაწყისამდე კომპანია ვერ არიგებდა ხელფასებს, ამავე დროს ძალზე დიდი წარმატებით ვითარდებოდა ყველა ის შვილობილი კომპანია, მათ შორის, ინტერნეტ-კომპანიები. ეს წარსულია, მაგრამ მაინც მტკივნეულია ჩვენი ქვეყნისთვის...

„კავკასუს ონლაინთან“ ჩვენი დაპირისპირება ძალიან არაჯანსაღი, ბაზრისთვის, მომხმარებლისთვის მიუღებელი მომენტებით იყო გაჯერებული. საქმე ეხება ორ დამოუკიდებელ თემას. “კავკასუს ონლაინს” გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის მიმართ ჩვენს მიერ გაწეულ მომსახურებაზე წლების მანძილზე დაგროვილი ჰქონდა დავალიანება, რომელიც, ღვთის მადლით, არა მთავრობის, არამედ სწორედ იმ მარეგულირებელი ორგანოების ჩარევით შეთანხმდა. “კავკასუს ონლაინმა” დავალიანება აღიარა, ასე რომ, ეს თემა ამოიწურა, ნორმალურ ჩარჩოებში გადადის და, იმედია, კომპანია ვალს შეთანხმების მიხედვით გადაიხდის.

მეორე თემა, რომელიც ასევე სახელმწიფოს კანონმდებლობის შესრულებას ეხება, გახლავთ “კავკასუს ონლაინისა” და თბილისის მერიის თემა. სწორედ მან წარმოშვა ის არაჯანსაღი დისკუსია, რომლის დროსაც ბუნებრივია, დაზარალდა მომხმარებელი და დავზარალდით ჩვენ, როგორც სატელეკომუნიკაციო კომპანია. ძალიან ძნელია, მომხმარებლის დონეზე დავიდეს ის, რომ მერია იცავს საქართველოს კანონმდებლობის იმ ნაწილს, რომელიც კომპანიას ავალდებულებს ამა თუ იმ ქსელის შექმნის დროს აიღოს სათანადო ნებართვა. მე იმის განსჯას არ შევუდგები, სწორია თუ არასწორი, რომ მერია აჯარიმებს “კავკასუს ონლაინს” და ჭრის მის მიერ შექმნილ ქსელს. უბრალოდ, აქ ჩვენ არაფერ შუაში არ ვართ. მაგრამ, საზოგადოებამ ეს ორი მომენტი ერთიანად აღიქვა. აქ ანტიმონოპოლური კანონმდებლობა თავისი შინაარსით არაფერ შუაშია, თუმცა, ბუნებრივი მონოპოლია, რომელიც ჩვენ გვაქვს, გვქონდა და კიდევ გვექნება ამ კომპანიაში იმდენ ხანს, სანამ კიდევ არ განვითარდება საკანალიზაციო მეურნეობა კომპანიების მიერ. აქ თავისებური ტექნიკური სტანდარტები და მიდგომებია, რამაც დისკუსია გამოიწვია. ეს ისევ და ისევ იმ ეკონომიკური პრობლემების ბრალია, რომლებიც ამ კომპანიას მოყვა. თქვენ იცით, რომ ქალაქის ცენტრალური საკანალიზაციო ქსელი გაჯერებულია საკაბელო

მეურნეობით. ეს იმიტომ, რომ მის გვერდით, მის ხარჯზე განვითარდნენ თანამედროვე ტექნოლოგიების მატარებელი კომპანიები და ჩვენი კომპანია წლების მანძილზე დარჩა სპილენძის საკაბელო ხაზებზე, რამაც, ბუნებრივია, გაავჯერა არსებული საკანალიზაციო მეურნეობა, და ჩვენ აღარ გვქონდა საშუალება არათუ სტანდარტის დაცვით, არამედ დარღვევით მაინც მიგვეწოდებინა ცარიელი სივრცე საკანალიზაციო მეურნეობისთვის. ის პროცესები, რომლებიც დღეს ჩვენს კომპანიაში მიმდინარეობს – სასათბურე მეურნეობის სრული გადაიარაღება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ფაქტობრივად, გამოათავისუფლებს მთელ საკანალიზაციო მეურნეობას, რომელიც ჩვენ არათუ მონოპოლიურ სიტუაციაში ჩაგვაყენებს, არამედ იძულებულს გაგვხდის ვეძებოთ ამ კანალიზაციის მომხმარებელი. მონოპოლიების კრიტერიუმები მუდმივ ცვლას განიცდის. რაში გამოიხატება ეს? ინტერნეტ ბაზარზე „კავკასუს ონლაინი“, თავისი სამივე გაერთიანებული კომპანიის სახელით, ფაქტობრივად, დომინანტი იყო და რეალური კონკურენტი არ ჰყავდა, დღეს კი ასე აღარ არის. ინტერნეტ-ბაზარზე ჩვენი შესვლით უკვე თითქმის 20-25 პროცენტიანი ნიშა დავიკავეთ, რაც მომხმარებელს ფართო არჩევანის საშუალებას აძლევს. მონოპოლური ბალანსი იცვლება და კონკურენტული გარემო მომხმარებლისთვის, ბუნებრივია, უკეთესი პირობების შემქმნელი იქნება. დღესდღეობით ბაზარზე საკანალიზაციო მეურნეობაში მონოპოლისტობას ვინარჩუნებთ თბილისში, მაგრამ ეკონომიკის განვითარებიდან გამომდინარე, აქაც მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. სხვადასხვა კომპანიები, მაგალითად, “ახალი ქსელები”, აშენებენ თავიანთ კანალიზაციას და ამის შემდეგ ჩვენ მონოპოლისტები ნამდვილად ვეღარ ვიქნებით. მე დარწმუნებული ვარ, რომ “კავკასუს ონლაინი”, როგორც ერთ-ერთი ძალზე სერიოზული კომპანია, რომელიც მძლავრი ინტერნეტ-რესურსის შემომტანი იქნება, განსაკუთრებით კი ფოთი-ვარნას მაგისტრალის გაკეთების შემდეგ, ალბათ, დაიწყებს ჩვენი კანალიზაციით სარგებლობას, რისთვისაც ჩვენ მზად ვართ, ან შეიძლება თავისიც კი ააშენოს, რადგან ე.წ. “ჯე-ლინკი”, რომელიც კორპუსიდან კორპუსზე გადადიოდა, 90-იანი წლების თბილისში დენთან დაკავშირებული ავადმოსაგონარი პერიოდის დაქსელვას ჰგავდა... ელექტროკავშირი იყო აბსოლუტურად ჩაკეტილ სივრცეში მომუშავე კომპანია 2006 წლისათვის, როდესაც მისი პრივატიზაცია ჩატარდა. არათუ რაიმე სერიოზულ კავშირებს, ინტერნეტ-კავშირსაც კი იგი სხვა ოპერატორის მეშვეობით ახორციელებდა. დღეს ჩვენ გავხდით რეალური ტრანზიტული ქვეყანა ინტერნეტ-ნაკადებისთვის. სულ ახლახან ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ფრანკფურტში, სადაც ინტერნეტ-რესურსის შესყიდვა პირდაპირ ევროპიდან მოხდება. ასე რომ, დღეის მდგომარეობით, ბაზარზე ნამდვილად ჯანსაღი კონკურენცია ყალიბდება. ის გაუგებრობები, რაც დღეს ბაზარზე ისევ არსებობს ჩვენსა და “კავკასუს ონლაინს” შორის, ფაქტობრივად, ამოწურულია. იმედია, მოგვარდება ამ კომპანიასა და მერიას შორის არსებული პრობლემებიც. ერთი სიტყვით, ჩვენი მათთან ურთიერთობა გრძელდება ჯანსაღი კონკურენციის პირობებში, რასაც უკვე გრძნობენ და მომავალშიც უფრო უკეთ იგრძნობენ ინტერნეტ-მომხმარებლები.

დავით კაპანაძე, „კავკასუს ონლაინის“ იურისტი: – მინდა, ჩვენს შორის არსებული პრობლემები სწორედ მარეგულირებლის კუთხით დაგანახოთ. მოგახსენებთ ჩვენს სუბიექტურ მოსაზრებას, რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო როგორც პრევენციის, ასევე რეგულირების დონეზე. აქვე უნდა ითქვას, რომ არსებობს საკმაოდ დახვეწილი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ევროკავშირის ქვაკუთხედი დირექტივების შედეგად შემუშავდა. ნორმატიული აქტი – ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონი არეგულირებს უშუალოდ ამ სფეროში კონკრეტულ ურთიერთობებს, ასევე განსაზღვრავს მარეგულირებელი ორგანოს – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის კომპეტენციას. მას ის ნიშან-თვისებები და უფლებამოსილება აქვს, რაც ეფექტურ მარეგულირებელ ორგანოს უნდა ჰქონდეს. იგი უფლებამოსილია განახორციელოს წინასწარი რეგულირება, განსაზღვროს ტარიფების პოლიტიკა, ჩვენს შემთხვევაში, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების ხარჯზე ორიენტირებულობის პრინციპიდან გამომდინარე, მოახდინოს მათი ტარიფების შემოწმება, მიიღოს პრევენციული ზომები თუ იქნება ვარაუდი იმისა, რომ ასეთი სტატუსის მქონე ოპერატორი ბოროტად იყენებს თავის ძალაუფლებას და შემდგომ უკვე კონკრეტულ დარღვევებზე მოახდინოს რეაგირება.

გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია ფლობს რესურსს – სპილენძის მავთულებს, ანუ სატელეფონო ქსელს ხმოვანი და ფართოზოლოვანი რესურსით. სწორედ ფართოზოლოვანი რესურსის სეგმენტშია ეს კომპანია აღიარებული

მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ოპერატორად, ჩვენ კი, კანონიდან გამომდინარე, გვქონდა ამ რესურსზე შეუზღუდავი ხელმისაწვდომობის უფლება. რეალურად, ჩვენ წავაწყდით სხვადასხვა სახის პრობლემებს, ვინაიდან ისეთი ბარიერები იქნა შემუშავებული, რომლებიც კონკრეტული ხარვეზების აღმოფხვრას მხოლოდ მომხმარებლისთვის საზიანოდ ძალიან გრძელ ვადაში ხდიდა შესაძლებელს. დავალიანებას ჩვენი კომპანია არც არასდროს უარყოფდა, ჩვენი თხოვნა იყო მხოლოდ შედარება, რასაც მივაღწიეთ და მისასალმებელია, რომ დღეისათვის მართლაც ჯანსაღი კონკურენციის ფარგლებშია ეს ყველაფერი მოქცეული. თუმცა, ამ დავალიანების გამო მივიღეთ ის შედეგი, რომ გაერთიანებულმა სატელეკომუნიკაციო კომპანიამ გამოიყენა ის მიძინებული რესურსები, ის ბერკეტები, რომლის რეგულირებაზეც უარი განაცხადა კომისიამ, რის შედეგადაც ჩვენს კომპანიას რეალურად შეეზღუდა დაშვების უფლება, მომხმარებლები კი ინტერნეტის გარეშე დარჩნენ.

დემურ გიორხელიძე, ექსპერტი: – როცა ქვეყანაში 10 კაცს აქვს განაწილებული ეკონომიკა, როგორი კანონიც არ უნდა მიიღო, მნიშვნელობა აღარა აქვს. ცივილიზებულმა სამყარომ ყველაზე დიდი რამ გამოიგონა — ეს არის კონკურენცია. სწორედ კონკურენციამ დააყენა ფეხზე დღევანდელი განვითარებული ქვეყნები და თუ მათ დღეს პრობლემები გაუჩნდათ, ამის მიზეზი სწორედ კონკურენციის მოშლა, იმ მკაცრი თამაშის წესების დარღვევაა, რომლებსაც აქამდე ექვემდებარებოდნენ. ასე რომ, ჩვენ ძალიან დიდი პასუხისმგებლობით უნდა მივუდგეთ ამ საკითხს. როდესაც რეფორმების გამტარებელი პერსონა მარგინალურ ეკონომიკურ თეორიაზე დაყრდნობით რაღაც რეფორმას ატარებს, რომლის მსგავსიც მსოფლიოში არასოდეს არავის გაუკეთებია და არც არავინ გააკეთებს (რადგან ეს არის უპასუხისმგებლობა საკუთარი ქვეყნების მიმართ), ასეთ პირობებში, ჩვენ, ყოველთვის დიდი პრობლემები გვექნება. სფერო არ არის საქართველოში, მონოპოლია რომ არ არსებობდეს. უბრალო მაგალითს გეტყვით: ლამის აიკლეს ამერიკელებმა სენატორების ოფისები, როდესაც ერთი კვირა დააგვიანდა საწვავზე ფასების შეწონასწორებას ნავთობის რეალურ ფასთან. მართალია, იქ არც სენატი და არც კონგრესი ამ საკითხზე არანაირ გადაწყვეტილებას არ იღებენ, მაგრამ საზოგადოებრივმა ზეწოლამ ერთ კვირაში მოიყვანა წესრიგში ყველაფერი — დღეს ამერიკაში ერთი ლიტრი ბენზინი 60 ცენტი ღირს. ასეთ პირობებში, ჩვენთან ბენზინზე ფასი ფაქტობრივად არ შეცვლილა, რადგან საქართველოში, სამწუხაროდ, ხელისუფლების რომელიმე შტოზე ზეწოლის არანაირი მექანიზმი არ არსებობს. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ საზოგადოება ხელისუფლების მიერ იგნორირებულია. აიღეთ ნებისმიერი სხვა სფერო, გნებავთ, ელექტროსაქონლით ვაჭრობა. ჩვენთან ცნობილი ბრენდების საქონელი მსოფლიო ფასებთან შედარებით 3-ჯერ ძვირი ღირს. როგორ შეიძლება, რამდენიმე სხვადასხვა ფირმის მაღაზიაში საქონელზე ერთნაირი ფასები იყოს და თანაც ასე ძვირი?! ჩვენთან, სადაც მოსახლეობის ძირითადი ნაწილი გაჭირვებულია, ასეთი ფასების შეთავაზება არანორმალურია!

ისმის კითხვა — საჭიროა თუ არა ის სამსახური, რომელზეც აქ ვმსჯელობთ? პასუხი ასეთია – თუ გვინდა ცოტა რამ მაინც გაკეთდეს ეკონომიკაში, აუცილებელია ზეწოლა ხელისუფლებაზე. რეგულირება იმას კი არ ნიშნავს, ადგე და სული ამოაძრო ბიზნესს – თავისუფალ ბაზარს არაფერი არ უნდა ემუქრებოდეს, მეწარმის თავისუფლება არ უნდა შეიზღუდოს. რეგულირება იმ უმკაცრესი თამაშის წესების შემოღებას ნიშნავს, რომელსაც ყველა თანაბრად უნდა დაემორჩილოს. თანაც, უნდა მოქმედებდეს მექანიზმი, რომელიც სწორად განსაზღვრავს, როდის ჩაირთოს თამაშის ეს წესები და როდის გამოირთოს. შევარდნაძის პერიოდს ლანძღავდნენ, მაგრამ ამ თავისუფლების თვალსაზრისით ათი ათასობით ადამიანი დარბოდა უცხოეთში, რაღაც ჩამოჰქონდა ჩემოდნით და თავისი საქონლით ვაჭრობდა. ის რომ, მაშინ ვიღაც გადასახადს მალავდა, ეს ხელისუფლების ორგანოების დეფექტის ბრალი იყო და არა ეკონომიკისა. დღეს ეს თავისუფლების ხარისხი დაბალია და ამიტომაც მივდივართ სოციალური ჭაობისაკენ! ასეთ სიტუაციაში ერთადერთი გამოსავალი თამაშის სწორი წესების დაწესებაა და რაც მალე იქნება ეს, მით უკეთესი ჩვენი ქვეყნისთვის.

თუმცა, აქ არის საშიშროება: **თავისუფალი ბაზრის ალტერნატივა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს ადმინისტრაციული რესურსებით მართული ბაზარი**. ერთადერთი ყველაზე კარგი და სწორი ქმედება დამოუკიდებელი ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნაა და ეს უნდა გაკეთდეს. არ გაკეთდება? — ისევ ვიქნებით უბედურებაში. ამაზე რაც მეტს ვილაპარაკებთ და რაც მეტს „მოვქაჩავთ“ ხელისუფლებას, უკეთესი იქნება ყველასთვის. ბოლოს დავამთავრებ ერთი წინადადე-

ბით (უხეში ადამიანი არ ვარ, მაგრამ ახლა უხეშად გამომივა) — რატომ ჰკიდია ყველა ფირმას მომხმარებელი ფეხებზე?! ეს ჩვენი ავადმყოფობაა და ამ ავადმყოფობიდან რაღაცნაირად გამოსვლაა საჭირო.

ნანა ჩაჩუა, ფსიქოლოგი, ექსპერტი: – ბატონმა დემურმა მიბიძგა აზრის გამოთქმისკენ. მის მიერ ბოლოს დასმულ კითხვას მართლაც სჭირდება პასუხი. ბატონო დემურ, არც მე გახლავართ უხეში, მაგრამ მაინც უნდა გავიმეორო – **რატომ არის გულგრილი მომხმარებლის მიმართ ყველა ფირმა, კომპანია, დაწესებულება თუ ხელისუფლება?** პირველი, რაც უმთავრესია, ეს არის ის, რომ ჩვენ ვიმყოფებით (და ეს არა მხოლოდ საქართველოში ხდება), თამანედროვე 21-ე საუკუნისთვის დამახასიათებელი ორმაგი სტანდარტის ცნობიერების პირობებში. რა იწვევს ამ ორმაგ სტანდარტს? — **ერთი,** ეს არის ფულის პრიორიტეტი ჩვენს ყოველდღიურ ყოფით ურთიერთობასა და საქმიანობაში, და **მეორე** — ადამიანის მნიშვნელობა. **როცა ადამიანი არ არის მიზანი და იგი იქცევა საშუალებად, მაშინ ხდება ყველა გულგრილი იმ მომხმარებლის მიმართ, რომელსაც ჩვენ თვითონვე წარმოვადგენთ. ეს, საერთოდ, დამახასიათებელია ორმაგი სტანდარტის ცნობიერებისათვის. არსებობს ასეთი რამ — დაზარალებულობის განცდა. ვარ თუ არა დაზარალებული? დღევანდელ რეალობაში დაზარალებულობის განცდა ხშირად არის აბსოლუტურად ატროფირებული, ისევე, როგორც მოკვეთილი, განგრენიანი კიდური, იმიტომ, რომ ადამიანი უკვე ჩათრეულია იმ რიტმში, რასაც ორმაგი სტანდარტის ცნობიერება ჰქვია.** აქ ლაპარაკი იყო კანონებზე, კონკრეტულად ანტიმონოპოლიურ კანონზე. მე შეგახსენებთ ერთ პატარა ისტორიას. ძველ საბერძნეთში ჰერაკლიტე ეფესელს ბერძნებმა კანონის დაწერა დაავალეს. მან უარი უთხრა. დაჟინებით მოსთხოვეს კანონის დაწერა, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით დასჯით დაემუქრნენ. გაიქცა ჰერაკლიტე და არტემიდას ტაძარს შეაფარა თავი. იქედან გადმოსძახა ბერძნებს — **თქვე ბრიყვებო, კანონი რად გინდათ, როცა ხელისუფლებაში არამზადები სხედანო.** არამზადებში იგი გულისხმობდა კანონის აღსრულების თემას. მე ხომ ეკონომიკის არაფერი გამეგება, მაგრამ ეკონომიკა და ორმაგი სტანდარტი კანონის გაგებისა და აღსრულებისა მხრებზე მაწევს. **ერთი საკითხია, რომ დაზარალებულობის განცდა ატროფირებულია, მაგრამ ადამიანების გარკვეული ნაწილი შინაგანად მაინც განიცდის ამ ყველაფერს, მაგრამ სად მიდის ეს განცდა? ჩვენთან თითქოს ძალიან მაღალ დონეზეა მომსახურება, ყველაფრის, -გაზის, ელექტროენერგიის, ტელეფონის მოხმარების საფასურის ქვითრები სახლში მოდის. მაგრამ აქ მეორე საკითხი იწევს წინ - შენ ბრმად უნდა ენდო კერძო, ფულით დაინტერესებულ კომპანიას, რადგან შემოწმების არანაირი მექანიზმი არ გაგაჩნია! თუ მაინც გადაწყვეტ იკვლიო, რამდენად სწორად გახდევინებენ მომსახურებაში ფულს, ისეთ ბიუროკრატიას, იმდენ ბარიერსა და დამცირებას წააწყდები, შეურაცხყოფისგან თავდაცვის მიზნით ინსტინქტურად უარს ამბობ ამ კვლევაზე და ჩერდები. აღსანიშნავია, რომ ადამიანს აქვს უსაფრთხოების განცდის მოთხოვნილება არა იმდენად ფულთან მიმართებაში, რამდენადაც შეურაცხყოფასთან... ამიტომაც არის რომ, თუ გინდა მართო საზოგადოება, აშიმშილე და დაამცირე, მიაყენე შეურაცხყოფა.**

საზოგადოების ზეწოლა, მისი სიფხიზლე, ხმამაღალი მოთხოვნა იმისა, რომ მომსახურება სათანადო დონეზე იყოს, რათა კომპანიებს ჰქონდეთ იმის შიში, რომ საზოგადოების რაღაცა ნაწილი მათ მუშაობას ნეგატიურად შეაფასებს, ეს უმნიშვნელოვანესი რამ გახლავთ. არსებობს ორი რამის შეჯიბრი — **პირადი ავტორიტეტის, ღირსების განცდისა და მეორე — ფულის. ეს ორი რამ ეჯიბრება ერთმანეთს მთელი კაცობრიობის ისტორიაში, მითუმეტეს დღეს, როცა ფულის პრიორიტეტი სახეზეა. ღირსება და ფული! თუ ესენი არ არიან ერთმანეთთან კონკურენციაში და ღირსება არ არის საზოგადოების მიერ წინ წამოწეული, ფული ყოველთვის გაიმარჯვებს. სტენდლერის** სიტყვებს შეგახსენებთ, ევროპის მზის ჩასვენება იყო ის, რომ შეტევაზე გადმოვიდა უზარმაზარი მექანიზმი იმისა, რასაც კონკურენტი არა ჰყავს. – ფულმა ამ ყოფით სივრცეში ღმერთს გამოუცხადა კონკურენცია და გაიმარჯვა. ეს ჩემი სიტყვები არ არის. ღმერთი სიყვარულია და ფული რომ სიყვარულზე იმარჯვებს, ეს არის ყველაზე დიდი უბედურება. ამ უბედურების შედეგია ის, რომ ადამიანი მიზანი კი არა, საშუალება გახდა.

დღეს აქ აღნიშნულ დავებს რაც შეეხება. თუ ჩვენი ცოდნა ჭეშმარიტებას არ ეფუძნება და ეჭვის დონეზეა, ეჭვი ხომ იკვებება რეალობიდან? ოტელოს რომ დეზდემონა დაეხრჩო, ცხვირსახოცი ხომ მაინც იყო საჭირო? რაკილა ეჭვი რეალობით იკვებება, ეს რეალობა კი სვამს კითხვას — **რა უდევს საფუძვლად ნე-**

ბისმიერ კონკურენციას თუ ერთი კომპანიის მიერ მეორის ჩანთქმის სურვილს, რა არის ამ კომპანიების დავის ცხვირსახოცი? სამწუხაროდ, ყველამ ვიცით, რაც არის ეს! ასეთ პირობებში შეიძლება ჩვენს ჯიბეს არ გაუჭირდეს, მაგრამ ჩვენ გვიჭირს ადამიანური სუნთქვა ამ სამყაროში!

დავფიქრდეთ, ორმაგი სტანდარტების პირობებში რა გევლოდება! როგორც თქვენ ბრძანეთ — სიყვარულის დასამარება! გვექნება ფული, გვექნება კაბელები, ინტერნეტი და ჩვენ აღარ ვიქნებით! თუმცა, ბიოლოგიურ დონეზე შეიძლება დავრჩეთ.

ანზორ ბაბუხარდია, ბიზნესის ინტერესების დაცვის კავშირის თავმჯდომარე: – მე მინდა თავს უფლება მივცე და ამ ზოგადი საკითხებიდან გადავიდე კონკრეტულზე. ჩემი აზრით, როცა კონკრეტულ საკითხს იხილავ, რეცეპტსაც უფრო ზუსტად გამოწერ და უფრო კარგად დაინახავ იმ პრობლემას, რის გადაწყვეტასაც ცდილობ. მაგალითისათვის მოვიყვან კონკრეტულ შემთხვევას: გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკაში“** გამოქვეყნდა სტატია, **„საქართველოს პარლამენტი უკანონობის დაკანონებას აპირებს“.** ბევრი კანონი მინახავს, მაგრამ ასეთი უსუსური, ასეთი ნორმიდან ამოვარდნილი კანონპროექტი, რომელიც პრესაშია გამოქვეყნებული, მე ჯერ არ შემხვედრია. კანონპროექტი შეეხება დაცვის სამსახურების მოწესრიგებას საქართველოში.

რა წერია ამ დოკუმენტში? პირველი – საშინლად ძვირდება დაცვის სამსახურები. დაცვით საქმიანობაზე ლიცენზიის აღება 600 ათასი ლარი, ნებართვის აღება კი 50 ათასი ლარი ხდება. წარმოიდგინეთ, ადამიანს რომ დაცვის სამსახურის ჩამოყალიბება უნდოდეს, რა თანხები დაუჯდება?!— რეგისტრაციის საკითხები ძალიან გართულებულია. საქართველოში არსებობს შსს-ს დაცვის სამსახური. ვიღაცას მოუვიდა აზრად, ნებისმიერი დაცვის სამსახურზე ლიცენზია და ნებართვა გასცეს დაცვის ამ სამსახურმა, ანუ კონკურენტმა ორგანიზაციამ! გართულებულია დაცვის სამსახურების შემოწმებაც. ვთქვათ, მე ვარ კერძო სამსახური. ფირმას აქვს 10 ობიექტი. ერთ ობიექტზე შევიდა შენიშვნა ან საჩივარი. ასეთ შემთხვევაში მთლიანად ფირმას უუქმდება ლიცენზია და თანაც 5 წლით, რაც იმას ნიშნავს, რომ დაიმარხა, გასწორდა მიწასთან ეს სამსახური! პარლამენტში უკვე ტრიალებს ეს კანონპროექტი, ჯერ პირველი მოსმენით განხილული არ არის, მაგრამ უახლოეს დღეებში განიხილავენ. დარგობრივი ეკონომიკისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტები მისი მიღების კატეგორიული წინააღმდეგნი არიან, მაგრამ ვნახავთ, როგორ გავა ეს კანონი უმრავლესობის მხარდაჭერით! — ვის და რისთვის სჭირდება ეს კანონი? საქმე იმაში გახლავთ, რომ 2009 წლისთვის შსს-ს ბიუჯეტის თანხები მნიშვნელოვნად შეუმცირეს, ამიტომ ბუნებრივია, ამ მონოპოლიის ხელში აღებით შსს გაზრდის თავისი გავლენის სფეროებს და ეს რა ეკონომიკურ და ფინანსურ ეფექტს მოუტანს ამ სამინისტროს, დასკვნები თვითონ გააკეთეთ.



დავით იაკობიძე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: – კონკურენცია ბაზრის განვითარების საფუძველია, მაგრამ კონკურენციის რეგულირების პრობლემა ყველაზე გვიან ჩნდება ხოლმე. მაგალითს მოვიყვან — 1778 წელს გაკეთდა ნიუ-იორკის ბირჟა. მაგრამ დებულება მან 4 წლის შემდეგ მიიღო. კანონი რეგულირების შესახებ კი რუზველტის პრეზიდენტობის პირველ ვადაში, 1931 წელს მიიღეს. ნახეთ, რამხელა დისტანციაა! მე როცა ვმონაწილეობდი ანტიმონოპოლიური დებულებების შემუშავებაში, ყოველთვის მიჩნდებოდა უკმარისობის გრძნობა იმასთან დაკავშირებით, რომ კარგად არ გვაქვს გააზრებული, რა არის კონკურენცია. ფოთში მუშაობისას მითხრეს, რომ ანტიმონოპოლიური კანონით უნდა შეგვეზღუდა ფოთის პორტი, რადგან არსებობდა ბათუმის პორტი. ფოთის პორტის კონკურენტი როგორ შეიძლება იყოს ბათუმის პორტი, როცა ბათუმის პორტი არის ჩამოსასხმელი ტვირთის პორტი, ფოთის კი – გენერალური ტვირთისა. კონკურენცია პირდაპირ ბაზარზეა მიბმული. აქედან გამომდინარე, დავინახავთ, რომ ძალიან გაგვიჭირდება ერთი თარგი მოვარგოთ ყველაფერს. არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში მონოპოლია ზოგადად და მონოპოლია, რომელიც მომდინარეობს აუცილებლობიდან. მაგალითად, ჩუტყვავილაზე მოსახლეობა რომ მაინცდამაინც ერთმა დაწესებულებამ უნდა აცრას, ეს არის ნებელობითი აქტი და მას კონკურენციასთან საერთო არაფერი აქვს. დავხოცავთ ხალხს მანამ, სანამ გამოვავლენთ, ვინ შეიძლება იყოს ყველაზე კარგი ამცრელი სამედიცინო ორგანიზაცია. სხვა შემთხვევებიც ბევრია ასეთი.

ჩვენ საკითხის განხილვის ცოტა სხვა გზა ავირჩიეთ. პირდაპირ რომ გვეთქვა ასეთი ფრაზა: **„ბატონი ბენდუქიძე არ არის გარკვეული ეკონომიკურ პროცესებში, არ ესმის რაღაც-რაღაცეები, გააუქმა ეს და ეს და ა.შ.“,** ჩვენ უფრო მალე მივაღწევდით მიზანს. ჩვენ კი მივედ-

მოვედეთ, რაღაცეები ვთქვით და რაღაცაზე ვინერვიულეთ, არადა, კაცმა ჩაიდინა დანაშაული – გააუქმა ანტიმონოპოლიური სამსახური, სადაც 11 წელი ხალხი არა მარტო მუშაობდა, არამედ იზრდებოდა კიდეც! როცა საქმე ისწავლეს, მაშინ გაუუქმეს ეს სტრუქტურა, რაც დანაშაულებრივი ქმედება იყო. ამით ჩვენ დავკარგეთ არა მარტო სამსახური, არამედ დავკარგეთ ინსტიტუციონალური მეხსიერება, ველარ მივყვებით თანმიმდევრულად ზოგიერთი პრობლემის განხილვას.

ნოდარ ჭითანავა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: – რამდენიმე მოსაზრებას მეც შემოგთავაზებთ. თემა ძალიან აქტუალურია. ამიტომ მართებულია, შეხვედრის ორგანიზატორებს მადლობა გადავუხადოთ ასეთი აქტუალური თემის განხილვის ამ დონეზე მოწყობისათვის. თუ ამ პრობლემას თანმიმდევრულად განვიხილავთ, მაშინ ჩვენ მოვალენი ვართ, მთავარ კითხვას გავცეთ პასუხი: **საქართველოს ეკონომიკურ ბაზარზე ვის ეკუთვნის საბაზრო ძალაუფლება?** მე მზად არ ვარ, ჩემს მიერ დასმულ ამ კითხვას ვუპასუხო გარკვეული მიზეზების გამო. მეტად ტევადი, დამაჯერებელი ლოგიკით გაჯერებული ინფორმაცია წარმოადგინა ბატონმა ემზარმა. მის მოსაზრებებს, შემოთავაზებულ რეკომენდაციებს მე მთლიანად ვიზიარებ.

ცნობილია, რომ საბაზრო სისტემა ეყრდნობა ინტერესს, ხოლო საბაზრო სისტემის მარეგულირებელ მექანიზმად აღიარებულია კონკურენცია. ამრიგად, ინტერესი და კონკურენცია ერთ სიბრტყეზე უნდა განვიხილოთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ინტერესსაც ისევე უნდა გაფილტრვა, რეგულირება, როგორც კონკურენციას. ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემაში სახელმწიფოს ექსკლუზიური ეკონომიკური ფუნქციაა ინტერესის სტიმულირება და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნა. ამ კონკურენტული გარემოს შექმნაში განსაკუთრებული როლი აკისრია სახელმწიფოს, როგორც სუბიექტს. ეს ასე იყო, ასე არის და ასე იქნება, ვიდრე სახელმწიფო, როგორც სუბიექტი სხვა სუბიექტით არ შეიცვლება.

გამოცდილება გვეუბნება, რომ სახელმწიფო ეკონომიკურ პროცესებში ჩარევისას (მონოპოლიებთან დაკავშირებით), ოთხი ძირითადი მიდგომა-პოზიციით ხელმძღვანელობს. **პირველი:** სახელმწიფო იყენებს ანტიტრესტულ კანონმდებლობას, რათა დარგი უფრო კონკურენტული გახდეს. ანტიტრესტული კანონმდებლობა, მოგეხსენებათ, შეიქმნა აშშ-ში ჯერ კიდევ 1890 წელს, სხვადასხვა პერიოდში კი მასში გარკვეული ცვლილებები შევიდა; **მეორე:** სახელმწიფო ცდილობს, არეგულიროს მონოპოლიების ქცევა; **მესამე:** სახელმწიფო ცდილობს, ზოგიერთი კერძო მონოპოლისტური ფირმა მთავრობის მიერ მართვად საწარმოდ ან საზოგადოებრივ საწარმოდ გარდაქმნას; **მეოთხე**, სახელმწიფო არაფერს არ აკეთებს. სხვათა შორის, დღეს ვიდრე ბატონი ემზარის მოხსენებას მოვისმენდით, იმ პოზიციას ვუჭერდი მხარს, რომ სახელმწიფო ეკონომიკაში არ ერევა. მით უმეტეს, როცა გაცხადებულია, რომ ჩვენი ეკონომიკა არის ლიბერალური, ქვეყანაში ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ „ლიბერალიზაციის“ პროცესი წარიმართოს და ამით დასაბუთდა ანტიმონოპოლიური სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაც. აქ წარმოდგენილი მოსაზრებების ფონზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: მონოპოლიებთან სახელმწიფოს დამოკიდებულების ქრესთომათიულ მოთხოვნებში შეგვიტანია სრულიად ახალი ცნება, რომელიც ქართული ხელწერითაა წარმოდგენილი: უხეშად, არაკომპეტენტურად ერევა სახელმწიფო ეკონომიკაში. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო არამცთუ არ იცავს საბაზრო პრინციპებს, არამედ საბაზრო პრინციპებს (კანონებს) უგულებელყოფს. ამდენად, იგი საზოგადოებრივი პროგრესის მუხრუჭი ხდება. თუ ჩვენ ლიბერალიზაციის გზით მივდივართ და აქ ძირითადად გულისხმობენ იმას, რომ სახელმწიფო ეკონომიკურ პროცესებში არ უნდა ჩაერიოს, ამ დროს თურმე ჩვენი ფორმირებადი საბაზრო სისტემა, უფრო სწორად, მისი ბაზრის 70 პროცენტი სახელმწიფოს მხრივ „რეგულირებას“ ექვემდებარება! ეს იცით, რას ნიშნავს კონცეპტუალურად და მეთოდოლოგიურად? ეს არის სრულიად ახალი „გამოცდილება“, არნახული, ჯერ არსად ცნობილი, არსად აპრობირებული. თუ ჩვენ ლიბერალური ეკონომიკა გვაქვს და ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ პროცესი განვითარდეს ბუნებრივი კანონების, ე.ი. ეკონომიკური მიზანშეწონილობის მიხედვით, მაშინ რატომ არ გვაქვს ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკა? ჩვენ საბაზრო ეკონომიკა გვაქვს, მაგრამ უნდა დავუმატოთ სიტყვა **კვაზი. ამრიგად, კვაზი საბაზრო ეკონომიკა**, არაეფექტიანი, არადაბალანსებული.

განვიხილოთ ისეთი ურთულესი პრობლემა, როგორიცაა ეკონომიკის განვითარების (ზრდის) პრობლემა. საუბარია ზრდის პარამეტრებზე. ბატონი იაშა მესხია ბრძანებდა და სწორადაც, რომ ჩვენ მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპები გვაქვსო. გვაქვს მაღალი ტემპები, მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ, ეკონომიკა, მისი ტრანსფორმაციული პროცესები, როგორც მთლიანი სწორი მეთოდო-

ლოგიური მიდგომით განვიხილოთ. რა მაქვს მხედველობაში? ეკონომიკა განვიხილოთ დინამიკაში, ყველა თავისებურებებისა და ტენდენციის ურთიერთდამოკიდებულებაში. დაგისახელებთ ერთ ციფრს, რომელსაც ანგარიშს არავინ უწევს ქვეყანაში, როცა ეკონომიკური პროცესების საერთო დახასიათება-შეფასება ხდება საჭირო. მშპ შესადარი ფასებით შეფასებაზეა ლაპარაკი. თუ 1990 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას 100 პროცენტად წარმოვიდგენთ, 2007 წლის შედეგების მიხედვით (შესადარი ფასებში) ჩვენ გვაქვს მისი 59,6 პროცენტი. რამდენიმე პოსტსაბჭოთა სახელმწიფომ ეს მიჯნა გადალახა ჯერ კიდევ 2000 წლამდე. დაახლოებითი პროგნოზით გამოდის, რომ მიმდინარე წელს, მშპ შეიძლება გვქონდეს 65-68 პროცენტი, თუნდაც 70 პროცენტი იმისა, რაც გვქონდა 18 წლის წინათ. ასეთ სიტუაციაშია ეკონომიკა... ვამბობთ, რომ იგი საბაზროა. მართალია, საბაზროა. თითქოს ყველა მოთხოვნას პასუხობს, გარდა ერთისა, რომ **ეფექტიანი არ არის**!

ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. და მაინც, მთავარ მიზეზად ის მიმაჩნია, რომ საქართველოში ვერა და ვერ გავიაზრეთ სწორად, რას ნიშნავს თანამედროვე პირობებში საბაზრო ეკონომიკური სისტემა. მითუმეტეს, პოსტსოციალისტურ სივრცეში. ჩვენ მხოლოდ თეორიულად ვიცნობთ დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკას, მათ 150-200 წელი, დასჭირდათ იმისათვის, რომ დღევანდელ დონეზე განვითარებულიყო ეკონომიკა. ჩვენ მოვინდომეთ, რომ ეს სწრაფად და იმავე მეთოდებით გაგვეკეთებინა, თანაც ტრანსფორმაციული პროცესებიდან სახელმწიფოს ჩამოცილების გზით. შეგახსენებთ ერთ მაგალითს: XX საუკუნის 30-იან წლებში (29-33 წლების დეპრესია მაქვს მხედველობაში) დეპრესიის მთავარ მიზეზად ლიბერალიზაციის პროცესი ჩაითვალა. კრიზისიდან აშშ გამოვიდა საბაზრო თვითრეგულირებისა და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების შეხამებით და 1936 წელს აღიდგინა 1929 წლის დონე. ჩვენ საქართველოში ვაღიარებთ, რომ სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს ეკონომიკის განვითარებაში და ამას ლიბერალიზაციის პრინციპებისადმი ერთგულებით ვხსნით და ამ დროს სახელმწიფო თურმე ბაზრის 70 პროცენტს არეგულირებს!..

ვეთანხმები ბატონ ემზარ ჯგერენაიას წინადადებას ერთიანი სამართლებრივი ბაზის ფორმირებისა და ერთიანი ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნის თაობაზე, რომელსაც ექნება განსაკუთრებული უფლებამოსილებანი და შესაბამისი პასუხისმგებლობა, რომ კოორდინაცია გაუკეთოს ამ მომენტებთან დაკავშირებულ პროცესებს. ამაზე არის მიბმული – ეკონომიკური პროცესების განვითარების პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის პრობლემები... საქართველოში არც ერთი სტრუქტურა სერიოზულად არ მუშაობს ეკონომიკური განვითარების პროგნოზებზე.

ადრე ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: საქართველო დაღუპა არა იმან, რომ დემოკრატია არ არის – არამედ, ყალბად გაგებული დემოკრატიის სიჭარბემ! ჩვენ გავაფეტიშეთ საბაზრო მექანიზმები. ორმაგი სტანდარტის თამაშით ამერიკამ შეძლო მის მიერვე ინიცირებულ ეკონომიკურ კრიზისში ჩაერთო მთელი მსოფლიო. აქედან იგი უფრო ადვილად გამოვა, მაგრამ დანარჩენი მსოფლიო მასზე იქნება უშუალოდ დამოკიდებული. ჩვენ გარდამავალ ეტაპზე, ანუ ექსტრემალურ პირობებში ვიმყოფებით. აქ სახელმწიფოს აქვს თავისი ექსკლუზიური ფუნქციები, მათ შორის ეკონომიკურიც. და ის ამ ფუნქციებს უნდა ასრულებდეს. მთავარია განვითარების ეტაპის შესაბამისად განისაზღვროს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური როლი ტრანსფორმატულ პროცესებში.

ელგუჯა მარღია, საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილის“ დამფუძნებელი: –

მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო კონკრეტულ თემას, ეს არის კომპანიებისთვის იმიჯის და რეპუტაციის მნიშვნელობა. ბუნებრივია, ამ პროცესში ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ამ მნიშვნელოვნების იგნორირების შემთხვევაში ძალიან ბევრი კომპანია ჩიხში შედის და ძალიანაც ზარალდება. სამწუხაროდ, ეს პრობლემა ცუდად არის კომპანიების მიერ გააზრებული, ისევე როგორც კონკურენციის თემა, რასაც დღეს ვიხილავთ.

მინდა შევეხო კონკრეტულ საკითხს, განვიხილო კონკრეტული კაზუსი. არცერთი კომპანიის მიმართ პიროვნული გაღიზიანება არ მალაპარაკებს, მაგრამ ის კონკრეტული მომენტი მინდა დავაფიქსირო, რაც უშუალოდ საზოგადოებასთან ურთიერთობას ეხება – როცა ხდება ინფორმაციული ზეწოლა საზოგადოებაზე, როცა ხდება მისი პოტენციური მომხმარებლის, მიზნობრივი სეგმენტის, ზოგადად საზოგადოების ზომბირება. ასეთ შემთხვევაში, დამეთანხმებით, ინფორმაციის სწორ მიწოდებას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ინფორმაციის კუთხით ჩადებული ერთი დოლარი, ხშირ შემთხვევაში, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე, ვთქვათ, შეიარაღების სფეროში ჩადებული 10 დოლარი.

კონკრეტული კაზუსი მდგომარეობს იმაში, რომ ორმა კომპანიამ დაუშვა ძალიან სერიოზული შეცდომა და სერიოზულად დააზარალა საკუთარი იმიჯი და რეპუტაცია. კონკრეტულად ამ ორი პროვაიდერის („საქართველოს ტელეკომი“ და „კავკასუს ონლაინი“) მიერ გამოყენებული იქნა ე.წ პირდაპირი მარკეტინგის მეთოდი, ანუ სატელეფონო მარკეტინგი, როცა ისინი მომხმარებელს აწვდიდნენ ინფორმაციას კონკურენტი კომპანიის ცუდი მუშაობის შესახებ და ადანაშაულებდნენ ერთმანეთს. ჩემთვის, როგორც მომხმარებლისთვის, ორივე შემთხვევაში, მიღებული ინფორმაცია იყო აბსოლუტურად გადაუმოწმებელი და არადამაჯერებელი. მე არ მინდა ვამტკიცო, რომ, ეს იყო ხელოვნურად შექმნილი დაპირისპირება, მაგრამ საზოგადოებამ ეს აღიქვა, როგორც კრიზისი და იგი გარკვეული პერიოდი გრძელდებოდა. ამ დროს აუცილებელი იყო საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების აქტიური, გააზრებული და გონივრული ქმედება. რაც მე ამ სამსახურებისგან ვერ დავინახე. ამ მოქმედების შედეგად, ანუ სატელეფონო მარკეტინგის მეთოდოლოგიის გამოყენებით, კომპანიებმა დაიზარალეს თავისი იმიჯი...

მაკა არახამია, ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობის“ მარკეტინგის ხელმძღვანელი: – ნამდვილად არ ვგეგმავდი კამათში მონაწილეობის მიღებას, მაგრამ ამ რეპლიკის გაკეთება ერთმა ფაქტმა მაიძულა. როგორც გინდა დაუპირისპირდნენ ერთმანეთს “კავკასუს ონლაინი” და გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია, ჩვენ ვართ სამოქალაქო საზოგადოება და ჩვენს წინ არ ზის მეორე მხარე, ანუ სახელმწიფო. ეს არ არის პირველი შემთხვევა. საქართველოში რომ უამრავი პრობლემა არსებობს, ამით ახალს არაფერს ვიტყვი. მე, როგორც მოქალაქე, დღევანდელი შეხვედრის შემდეგ უფრო მეტად ვარ ინფორმირებული და მიმაჩნია, რომ ასეთ შეხვედრებზე სიარული ჩემზე მეტად გამოადგებოდათ სახელმწიფოს ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლებს. მეოთხე ხელისუფლება ხომ იმიტომ არსებობს, რომ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმაროს დანარჩენ სამს. ამ შეხვედრასაც ეს დანიშნულება აქვს. მაგრამ, რა აზრი აქვს, წამოვჭრათ პრობლემები, თუკი ის, ვისაც ხელეწიფება გადაწყვეტილებების მიღება, ამას არ მოისმენს.

მე, როგორც მოქალაქეს, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ნაკლები პრეტენზიები მაქვს თავად კომპანიებთან. ყველაზე დიდი პრეტენზია მე ჩვენს სახელმწიფოსთან და მის სტრუქტურებთან მაქვს, რადგან მოქალაქის დაცვა ამგვარი გაუგებრობისაგან მათი ვალია. მე ინტერნეტი არ უნდა მეთიშებოდეს! ჩემი პრობლემა არ არის, გავარკვიო, ვინ არის ამ საკითხში მართალი...

ჩვენ მივესალმებით, თუკი მართლაც შეიქმნება ანტიმონოპოლური სამსახური, რომელიც ასეთი საჭირო ყოფილა, მაგრამ ჩვენ უნდა დავსვათ საკითხი, რატომ გაუქმდა იგი თავის დროზე. უნდა გაირკვეს, ვინ იყო დამნაშავე და დაისაჯოს, რათა რამდენიმე ხნის შემდეგ არ მოხდეს ისე, რომ ახლა საზოგადოებისათვის საჭირო სხვა ინსტიტუტი გაუქმდეს და კიდევ სხვა პრობლემები წარმოიქმნას...

სალომე ელიაშვილი, „კარგო ლოჯისტიკ გრუპ ჯორჯიას“ პი-არ-მენეჯერი: – დიდი მადლობა მინდა მოგახსენოთ ამ კონფერენციის მოწყობისათვის, რამაც საშუალება მოგვცა დაგვენახა ის პრობლემები, რომლებიც დღესდღეობით არსებობს ქვეყანაში. თავს უფლებას მივცემ, მცირე ანალიზი გავაკეთო იმისა, რაც ამ კონფერენციაზე მოვისმინე. ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმებას, ჩემი აზრით, მოყვა ის, რომ საქართველოში ქართული ბიზნესი, გარკვეულ მასშტაბების მიღწევის შემდეგ, ერთმანეთის დაძირვას იწყებს. ამით მათ სერიოზულად ელახებათ იმიჯი და რეალურად უკვე სხვა, მესამე სუბიექტს უხსნიან გზას, რომელიც მათ ადგილს ბუნებრივად იკავებს. ეს მუდმივი ცირკულაციის პროცესია და რაკიღა არანაირი რე-

გულირება არ არსებობს, ეს ახალი კომპანიებიც, ადრე თუ გვიან, იგივე გზას დაადგებიან. აქ იყო საუბარი კონკრეტული პრობლემის, **„გაერთიანებული ტელეკომისა“** და **„კავკასუს ონლაინის“** შესახებ. მე მახსოვს კიდევ ერთი ასეთი პრობლემა აერონავიგაციაში ორ მონოპოლისტს შორის. პროვაიდერების ამ კონფლიქტიდან გამომდინარე ერთი დასკვნა გამოვიტანე - როცა ადამიანს ან კომპანიას სჭირდება ინტერნეტი და მისთვის ინფორმაცია სასიცოცხლოდ აუცილებელია, მისთვის აღარ აქვს მნიშვნელობა, ვისი მიზეზით არ მიეწოდება მას ეს ინფორმაცია. აქ მომხმარებელი ზარალდება და ამ ზარალის გამომწვევ კონკრეტულ მიზეზს აღარანაირი მნიშვნელობა აღარ ენიჭება. ვფიქრობ, ასეთი დაპირისპირების დროს ორივე კომპანიის იმიჯი ილახება, მიუხედავად იმისა, დავაში რომელია მართალი. იმიჯის შელახვა კი პირდაპირპროპორციულია იმისა, რომ კომპანიების მომხმარებელთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდეს.

როგორც დისკუსიამ გვიჩვენა, საკითხი მეტად აქტუალურია და იგი თანმიმდევრული ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს. უპირველესად, უნდა განხორციელდეს ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, რომელიც თავისუფალი (ჯანსაღი) კონკურენციის გარანტი იქნება. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამის აუცილებლობაზე საზოგადოების აზრიც მომწიფებულია.

უპრიანი იქნება პარლამენტმა დააჩქაროს ანტიმონოპოლიური საქმიანობის შესახებ საკანონმდებლო აქტის მიღება, რომელიც საფუძვლად დაედება დამოუკიდებელი ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნას.

თავის მხრივ, ჟურნალი **„ბიზნესი და კანონმდებლობა“** შეეცდება გააგრძელოს დისკუსიები აღნიშნულ პრობლემატიკაზე და დააწესოს გარკვეული მონიტორინგი ხელისუფლების მხრიდან ერთიანი სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფაზე.

კონფერენციაზე გაკეთებული მოხსენებებიდან გამომდინარე, კი წინადადებები და რეკომენდაციები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. ხელისუფლებამ უნდა გააქტიუროს მუშაობა ანტიმონოპოლიური პოლიტიკისა და შესაბამისი სრულყოფილი სამართლებრივი ბაზის შემუშავების მიმართულებით.

2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ უზრუნველყოს კვლევების ჩატარება ქვეყანაში მონოპოლიური მდგომარეობის შესახებ და მისი შედეგები გახადოს გამჭვირვალე საზოგადოებისთვის.

3. შეიქმნას მძლავრი, დამოუკიდებელი ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნას.

რატომ, კოლეგებო, რატომ?!

ჟურნალმა **„ბიზნესი და კანონმდებლობა“** ამ ბოლო ხანებში ტრადიციად აქცია ისეთი მწვავე პრობლემების საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანა, რომელიც ქვეყნის განვითარების მუხრუჭად იქცა. ჩვენდა საბედნიეროდ, ამ ინიციატივას მხარი აუბეს მეცნიერებმა და პრაქტიკოს-ექსპერტებმა. ისინი მზად აღმოჩდნენ წარმოედგინათ ამა თუ იმ მასშტაბური პრობლემის გამომწვევი მიზეზები და შემოეთავაზებინათ კვალიფიციური „რეცეპტები“ აღნიშნულ პრობლემათა შესარბილებლად. სხვათაშორის, ჩვენს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს (იგი წარმოდგენილი იყო კონფერენციისა და მრგვალი მაგიდის სახით), აქტიურად გამოეხმაურნენ ბიზნეს-სტრუქტურათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

თავდაპირველად აქტიური იყო მასმედიაც, რომელიც კვალიფიციურად ახერხებდა მკითხველამდე მიეტანა საზოგადოების წინაშე დაგროვილი პრობლემების ანატომია.

ჩვენდა გასაოცრად, ჟურნალისტთა აქტიურობამ ამ ბოლო ღონისძიებაზე საგრძნობლად იკლო. მეტიც, მასმედიის ზოგიერთმა საშუალებამ დაგვდო **„პატივი“** მოსულიყო, მაგრამ, მიუხედავად პრობლემის აქტუალობისა, საერთოდ არ გააშუქა აღნიშნული ღონისძიება, ან, ცალმხრივად და უღიმღამოდ შეეცადა დაეფიქსირებინა იგი. საუბარია ბეჭდვით მედიაზე, თორემ, ტელე-მედია ასეთ სერიოზულ და საზოგადოებისთვის აქტუალურ თემებს არასერიოზულად რომ ეკიდება, ფაქტია!

გულწრფელად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჟურნალი ასეთ ღონისძიებებს ქულების ჩასაწერად ნამდვილად არ აკეთებს. ვცდილობთ სამზეოზე გამოვიტანოთ მწვავე პრობლემები და ხელისუფლებას მისი გადაჭრის გზებიც შევთავაზოთ.

ამის უზრუნველყოფა (საზოგადოებამდე მიტანა) კი მედია-საშუალებებს შეუძლია. იმის გათვალისწინებით, რომ თითოეულ გამოცემას ჰყავს თავისი ერთგული მკითხველი, ვფიქრობთ, მათი მხარდაჭერის შემთხვევაში მიზანიც მიღწეული იქნება. კოლეგები კი რატომღაც გაგვირბიან და ასეთი თემების გაშუქებას თავს არიდებენ. არადა, მასმედიის აქტიურობამ შესაძლოა სახელმწიფო მოხელეთა ინერტულობასაც დაუსვას წერტილი!.. სხვა თუ არაფერი, არსებობს კოლეგიალობა, რომელსაც ჩვენ ნამდვილად პატივს ვცემთ და სხვებისგანაც ველოდებით. ამ ბოლო ხანებში კი ეს ვერ ვიგრძენით.

რატომ, კოლეგებო, რატომ?!